სსკგ-ში მუშაობა დაასრულა VII საერთაშორისო პატრისტიკულმა კონფერენციამ თემაზე: „წმინდა მღვდელთმთავარი ამბროსი მედიოლანელი და მისი საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა“

2021 წლის 2 ოქტომბერს წმინდა კირილესა და მეთოდეს სახელობის ზოგადსაეკლესიო ასპირანტურასა და დოქტორანტურაში დაასრულა მუშაობა VII საერთაშორისო პატრისტიკულმა კონფერენციამ თემაზე: „წმინდა მღვდელთმთავარი ამბროსი მედიოლანელი და მისი საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა“. ღონისძიება დისტანციურ ფორმატში ჩატარდა.

კონფერენციის პროგრამა თავის თავში მოიცავდა რვა თემატიკურ სესიებს, რომლებზეც წარმოდგენილი იყო მოხსენებები, სადაც განიხილავდნენ წმინდა ამბროსის ბიოგრაფიასა და შრომებს ისტორიულ, ლიტერატურულ-ღვთისმეტყველებით და საეკლესიო-პოლიტიკურ კონტექსტებში. რამოდენიმე დღის განმავლობაში წამყვანი მეცნიერები რუსეთიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და ამერიკიდან ერთმანეთში ცვლიდნენ წმინდა ამბროსის მემკვიდრეობის კვლევის შედეგებს.

პროგრამის შედეგების შეჯამების შემდეგ, შედგა მართლმადიდებლური წმინდა-ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საგამომცემლო პროექტის პრეზენტაცია წმინდა ამბროსი მედიოლანელის შრომების თარგმანების სრული კრებულისა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწტჰუ-ის პედაგოგებმა ნ. ა. კულკოვამ და ნოვგოროდის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგმა, დეკანოზმა ალექსანდრე გრინმა. ასევე ყველა მონაწილეს წარედგინა წმინდა მოწამე ირინეოს ლიონელის მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო პატრისტიკული კონფერენციის მასალების კრებული. VIII საერთაშორისო პატრისტიკული კონფერენცი ჩატარება, რომელიც მიეძღვნება წმინდა მღვდელთმთავარ კირილე ალექსანდრიელს, იგეგმება 2022 სექტემბრისთვის. კონფერენცია ორგანიზებული იყო საქველმოქმედო ფონდის „Kirche in Not“, კონრად ადენაუერის სახ. ფონდის და საქველმოქმედო ფონდის „შემეცნება“ მხარდაჭერით.

ზსად-ს პრეს-სამსახური

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88205/